ხელშეკრულება № 5/9
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი

22 მარტი 2012 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ დღნორისის საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გაიოზ ლომთაძის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „შესყიდვებისა და მომსახურების ცენტრი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი ვაჟა ნიჟარაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და მიმწოდებლის წინადადების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი: (შემდგომში „მომსახურება") **სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2010-2011 წელს ერთ პირთან მოლაპარაკების/გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციის მომზადება და სისტემაში ატვირთვა.**

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევის შემდეგ ხელმოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციის მომზადების და შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის შემდეგ.

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ხელშეკრულება ძალაში შედის 01/03/2012 - დან და მოქმედებს 31/12/2012 - მდე

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
სოფელ დღნორისის საჯარო სკოლა
მის: სოფელი დერჩის
საიდენტიფიკაციო კოდი 221300189
სს. „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა №

დირექტორი: გაიოზ ლომთაძე

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „შესყიდვებისა და მომსახურების ცენტრი
მის: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. № 26
საიდენტიფიკაციო კოდი 412676938
ს/ს„ლიბერთი ბანკის" წყალტუბო 452
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა № GE57LBD1131412762623000

დირექტორი: ვაჟა ნიჟარაძე